

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №41

19.02.2024 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან აბაშიძე, ნინო ვარდოსანიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, ანა გოგოლაძე, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას ესწრებოდა აგრეთვე:

მოწვეული სტუმრებში:

1. მაია გრძელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი;
2. ქეთევან კანდელაკიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
3. ლექსო უტიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი;
4. ლევან მდივნიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
5. გიორგი კობიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი;
6. ბექა გოგილიძე - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ბუღალტრული აღრიცხვისა და საფინანსო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;
7. ოთარ ჩიტიძე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
8. ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 15 თებერვლის №12-032404613-03 წერილი)

/მომხსენებელი: მაია გრძელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი/

2. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 15 თებერვლის №12-0324046117-03 წერილი)

/მომხსენებელი: ქეთევან კანდელაკიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 15 თებერვლის №12-032404639-03 წერილი)

/მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 15 თებერვლის №12-032404642-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

9. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 15 თებერვლის №12-032404613-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა მაია გრძელიძემ.

მომხსენებლის (მ. გრძელიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2024 წლის 1-ელი იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (200 034 900 ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით. იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 10 000 000 ლარით და შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 16 000 000 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 15 000 000 ლარის ოდენობით (მათ შორის საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 5 000 000 ლარი,

არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) - 10 000 000 ლარი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 241 034 900 ლარით და შეადგენს 2 004 389 600 ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 23 473 800 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 432 000 ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 25 346 700 ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 12 043 500 ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - 209 300 ლარით, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 210 000 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 9 647 000 ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 135 000 ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 295 100 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 850 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 1 000 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 804 500 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 400 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) - 540 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 1 750 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 600 000 ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 3 000 000 ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 24 753 400 ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 30 300 000 ლარით, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 487 600 ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 3 720 200 ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 200 000 ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) - 205 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 000 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 850 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 200 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 500 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 14) - 1 460 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა

ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) – 828 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 500 000 ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 800 000 ლარით, სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) – 500 000 ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 1 080 000 ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 201 000 ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 1 000 000 ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 250 000 ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 1 562 000 ლარით (მათ შორის ორხევეში, მუხადის ქ.12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისიდან გამოყვანილი 76 უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახის ბინის ქირა - 912 000 ლარი), სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 100 000 ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) – 35 000 ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 27 991 500 ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 4 099 500 ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 590 000 ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 2 489 100 ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი 08 04 03) – 50 000 ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 237 600 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 2 770 900 ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 17 297 200 ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 1 761 300 ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 315 500 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 100 000 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 100 000 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 235 500 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 50 000 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) – 100 000 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 100 000 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) – 200 000 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 150 000 ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 50 000 ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები - 3 000 000 ლარით, მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) - 2 931 200 ლარით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) – 22 000

ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 2 038 800 ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) – 133 700 ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 55 300 ლარით, ისნის რაიონის გამგეობა - 200 000 ლარით. ამასთან, „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №65 დადგენილების გათვალისწინებით, მსხვილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი, რომელიც აღემატება 20 მლნ ლარის და მეტი ღირებულების პროექტს ცალკე პროგრამული კოდების სახით უნდა იყოს გამოყოფილი ბიუჯეტში. შესაბამისად, ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - თბილისის ავტობუსების პარკის განახლება-შევსება (კოდი 01 02 04) - 118 119 900 ლარის ოდენობით და ახალი პროგრამა - რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია (კოდი 03 04) – 26 000 000 ლარის ოდენობით, რომელიც აერთიანებს შემდეგ ქვეპროგრამებს: სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) – 6 000 000 ლარი, ვერის ბაღის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 02) - 10 000 000 ლარი, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03) - 10 000 000 ლარი.

მცირდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 113 082 000 ლარით, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) – 71 100 ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები - 270 000 ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 8 000 000 ლარით.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული სსიპ(ებ)-ის და ა(ა)იპ(ებ)-ის საშტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, კერძოდ: თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 2 ერთეულით, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 4 ერთეულით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 11 ერთეულით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 8 ერთეულით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 6 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის

(კოდი 08 01 01) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახმეტელის თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ პანტომიმის თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა - 9 ერთეულით, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების 4 ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 3 ერთეულით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 100 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4876 ერთეულით.

მომხსენებლის მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ვახტანგ სურგულაძემ - გარემოს დაცვის მიმართულებით გარდამავალი პროექტების შესახებ.

ქ-ნმა ანა გოგოლაძემ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საბიუჯეტო დაფინანსების მატების, აღნიშნული საბიუჯეტო დაფინანსების მატების ფარგლებში, საკადრო რესურსის დამატების და, აგრეთვე, ცხოველთა სტერილიზაციისთვის დამატებითი თანხის გამოყოფილის თაობაზე. ქ-ნი ანა გოგოლაძე, ასევე, დაინტერესდა კასტრაცია-სტერილიზაციის ზრდის დინამიკით.

ქ-ნმა ანა გოგოლაძემ აგრეთვე შეკითხვა დასვა ზოოლოგიური პარკის ახალ ტერიტორიაზე (თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია) გადასვლისა და ზოოპარკის გახსნისთვის საჭირო ვადების შესახებ.

დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს და დამსწრე საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდეს: დარგობრივი საქალაქო სამსახურების წარმომადგენლებმა - მ. გრძელიძემ, ლ. უტიაშვილმა, გ. კობიაშვილმა და ზ. გურიელიძემ.

აზრი გამოთქვას:

ქ-ნმა ანა გოგოლაძემ და ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ.

ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ მადლობა გადაუხადა მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლებსა და ხელმძღვანელ პირებს გაწეული საქმიანობისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 15 თებერვლის №12-032404613-03 წერილით წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3 (ზ. ჯიმელი სულაშვილი; ს. კობალაძე; ვ. სურგულაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 15 თებერვლის №12-032404613-03 წერილით წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 15 თებერვლის №12-0324046117-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქეთევან კანდელაკიშვილმა.

მომხსენებლის (ქ. კანდელაკიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი

ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვალს მიღებულ იქნა №54-35 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების და ასევე მათი რეალიზაციის წესს და პირობებს (შემდგომში - წესი).

დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით ამ დადგენილებით დამტკიცებული წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსებასა ან/და რეალიზაციაზე, უნდა გავრცელდეს 2024 წლის 1-ელი იანვრიდან.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ბიზნესით დაკავებულია და დასაქმებულია ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, მიზანშეწონილია, რომ, კიდევ ერთხელ მოხდეს მათთვის ხელისშეწყობა და ახალ რეგულაციაზე გადასვლისათვის კიდევ ერთხელ მიეცეთ გარკვეული ვადა. ეს ვადა მიზანშეწონილია, განისაზღვროს დამატებით 2 წლით, რათა რეგულაციის გათვალისწინებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურა იყოს სრულად მომზადებული.

პროექტის მიხედვით, წესის ამოქმედება იგეგმება 2026 წლის 1-ელი იანვრიდან, ამასთან, ცვლილების დადგენილება უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, შეკითხვები დასვეს:

ქ-ნმა ანა გოგოლაძემ - წესის ამოქმედების, დამატებით, 2 წლით გადავადების გამომომწვევი მიზეზების თაობაზე.

ქ-ნმა ბარბარე ჯიმელი სულაშვილმა - წესის ამოქმედების ვადის გადაწევისასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციისა და არგუმენტების შესახებ.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა და ინფორმაცია წარმოადგინა მომხსენებელმა ქეთევან კანდელაკიშვილმა.

აზრი გამოთქვეს: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 15 თებერვლის №12-0324046117-03 წერილით წარმოდგენილი „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვ. სურგულაძე)

თავი შეიკავა - 3 (ს. კობალაძე, ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 15 თებერვლის №12-0324046117-03 წერილით წარმოდგენილი „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 15 თებერვლის №12-032404639-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტაძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №4-ის შესაბამისად, დიდმის ქალები წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრულ ერთ-ერთ საპარკო არეალს, იგი წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ბუნებრივი სახით შენარჩუნებულ მტკვრისპირა ზოლს, რომელსაც განსაკუთრებული ეკოლოგიური, ლანდშაფტური და ურბანული ღირებულება გააჩნია ქალაქისათვის.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.112) (2023 კვ.მ.) კანონით დადგენილი ფორმით განკარგვის საკითხს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 6 თებერვლის №61-01240373734 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში დაფიქსირდა მომართვა სარეკრეაციო საპარკო არეალის მოხსნის საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 6 თებერვლის №01240371354 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს სარეკრეაციო საპარკო არეალის მოხსნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით, კორექტირებული კონტურის ასახვის მიზნით ცვლილება შედის „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა.ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში (დანართი №1.11).

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა, შენიშვნები და განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 15 თებერვლის №12-032404639-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა.ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში (დანართი №1.11) ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 3 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

თავი შეიკავა - 1 (ვ. სურგულაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 15 თებერვლის №12-032404639-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა.ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში (დანართი №1.11) ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 25 იანვრის №12-032402566-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 იანვრის №24.102.130 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01233313450-67; №0123332980-67; №01240233457-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - №01233313450-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.861) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

№01.72.14.035.861 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ზონირების დაბრუნება.

№01.72.14.035.861 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანება, რომელიც მოქცეულია ორ საქალაქო გზას შორის. არსებული ფუნქციური ზონირების ფორმატიდან გამომდინარე, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით არსებული კონტურის შესაბამისად, არ შეცვლის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების ხასიათს.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში, საცხოვრებელი ზონა (სზ) ხარვეზის სახით რჩება №01.72.14.035.862 საკადასტრო ერთეულზე. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება ხორციელდება, ასევე, №01.72.14.035.862 საკადასტრო ერთეულზე.

საპროექტო საკადასტრო ერთეულის მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია იმ პირობით, რომ №01.72.14.035.861 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი განვითარდება მხოლოდ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების დანართი N1-ით დადგენილი ძირითად დასაშვები სახეობებით და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრება არაუმეტეს $k_2=2.1$ -ით.

შემოდანიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.861-ის ნაწილზე, №01.72.14.035.862) საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია №01.72.14.035.861 საკადასტრო ერთეულის ძირითადი დასაშვები სახეობებით განვითარებისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის არაუმეტეს $k_2=2.1$ -ით განვითარების პირობით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვ. სურგულაძე)

თავი შეიკავა - 3 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01233332980-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირ №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.004.017) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ითა (ტზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.10.11.004.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ზონირების დაბრუნება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 13 დეკემბრის №012334772 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ, ფაქტობრივი სიტუაციისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წინააღმდეგი არ არის (წერილი №0124024686), განსახილველი მონაკვეთი განვითარდეს განცხადებაში მოთხოვნილი ფუნქციით და მასზე გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.10.11.004.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დასავლეთით არსებულ მომიჯნავე ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.10.11.004.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დასავლეთით არსებულ მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირ №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.11.004.017) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვ. სურგულაძე)

თავი შეიკავა - 3 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01240233457-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გლდანი-

დიდმის შემაერთებელ გზაზე, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.004.151) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (ზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს №01.13.01.004.151 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის განკარგვის საკითხს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემო დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 23 იანვრის №01240234255 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 24 იანვრის №0124024226 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გავრცელების წინააღმდეგი არ არის, ითვალისწინებს რა აღნიშნული მიწის ნაკვეთის მოთხოვნილი ფუნქციური ზონის შესაბამისად განვითარების პერსპექტივას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანი-დიდმის შემაერთებელ გზაზე, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.004.151) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (ზ-1) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვ. სურგულაძე)

თავი შეიკავა - 3 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტის:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 25 იანვრის №12-032402566-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01233313450-67; №01233332980-67;

№01240233457-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 31 იანვრის №12-0324031231-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 იანვრის №24.131.171 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01233483478-67; №01240172317-67; №01240241804-67; №0124112727-67; №01240123277-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - №01233483478-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის ქუჩა №8-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/017); უჩანეიშვილის ქუჩაზე (ყოფ. იმედაძის ქუჩა №8ა) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.13.002.028) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

№01.14.13.002.028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 25 იანვრის №01240253079 წერილით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უჩანეიშვილის ქუჩა №8-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/017); უჩანეიშვილის ქუჩაზე (ყოფ. იმედაძის ქუჩა №8ა) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.13.002.028) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01240172317-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდი ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.08.476.002) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

№01.81.08.476.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საამქროს მშენებლობა.

საპროექტო ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობით ფიქსირდება სამრეწველო დანიშნულების შენობა-ნაგებობები და არსებული მდგომარეობით, ტერიტორია განვითარებულია სამრეწველო ფუნქციით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდი ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.08.476.002) სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვ. სურგულაძე)

თავი შეიკავა - 3 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01240241804-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.57.015.013) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

მიმდებარე განაშენიანების საერთო ქალაქგეგმარებით მახასიათებლების გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ რეგისტრაციებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.023.289; №01.11.17.006.755; №01.11.17.006.812; №01.11.17.006.813; №72.13.39.311; №72.13.39.312), ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 31 იანვრის №18-01240311493 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული რზ-3 (რზ-3).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.57.015.013) ნაწილზე, ასევე, №01.11.17.023.289; №01.11.17.006.755; №01.11.17.006.812; №01.11.17.006.813; №72.13.39.311; №72.13.39.312 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №0124112727-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.545) ნაწილზე მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს

№01.14.16.015.545 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის პრივატიზებას.

მიმდებარე განაშენიანების საერთო ქალაქგეგმარებითი მახასიათებლების გათვალისწინებით, №01240112727-67 განცხადებით მოთხოვნილი ტერიტორიის გარდა, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა ხორციელდება საპროექტო არეალის სამხრეთით არსებულ ნაწილზეც (№01.14.16.015.545-ის ნაწილზე).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 26 იანვრის №18-01240263450 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.545) ნაწილზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 2 (ვ. სურგულაძე; ა. გოგოლაძე)

თავი შეიკავა - 2 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი)

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01240123277-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.47.487) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№72.13.47.487 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში მასზე სპორტ.დარბაზის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 16 იანვრის №01240162492 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.47.487) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2)

სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3 (ა. გოგოლაძე; ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 31 იანვრის №12-0324031231-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01233483478-67; №01240172317-67; №01240241804-67; №0124112727-67; №01240123277-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 7 თებერვლის №12-032403895-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 თებერვლის №24.166.199 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №01240261897-67; №0123341345-67; №01232653560-67; №01240233096-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - №01240261897-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა, №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.011.285) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

№01.11.05.011.285 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 1-ელი თებერვლის №01240323609 წერილის შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილების მოთხოვნის არეალის ნაწილს გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება მიზანშეწონილია მხოლოდ საპროექტო საკადასტრო ერთეულზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა, №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.011.285) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1 (ვ. სურგულაძე)

თავი შეიკავა - 3 (ს. კობალაძე; ბ. ჯიმელი სულაშვილი; ა. გოგოლაძე)

